ქალაქ თბილისში დიდ დიღომში III მიკრო რაიონში N29 კორპუსის მიმდებრედ 01.10.08.006.217 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე,

„41“ ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა *„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან.*

„732“ ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა *საქართველოს მთავრობის N732 (04.12.2020) დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ პირობებთან.*

2025

განმარტება

+45.90 ნიშნულზე სახურავზე გასასვლელის შესახებ განმარტებულია ამ დასკვნის 4-ე თავის 6-ე პუნქტში. თუმცა რადგან შუალედურ გადაწყვეტილებაში არქიტექტურის სამსახურმა მოითხოვა დამატებითი განმარტება, დასკვნას დავუმატე ეს ჩანაწერი. გაცნობებთ, რომ წესების 1009.16 ქვეთავის მიხედვით 4 და მეტ სართულიან შენობებში ერთი კიბე უნდა გაგრძელდეს სახურავამდე ორივეს გაგრძელების ვალდებულება არ არის. ამ პირობის დაცვით შენობაში დაპროექტებული ორი შიგა-გასასვლელის გზა-კიბიდან ერთი მთავრდება 14-ე სართულზე ხოლო მეორე გრძელდება სახურავის ზედაპირამდე ჩვეულებრივი სტანდარტული მარშებით.

სახურავზე მოხვედრა ასევე შესაძლებელია „ბ“ ღერძთან დაპროექტებული შიდა კიბით, რომელიც N404 ბინის შემადგენლობაშია, დუპლექსის ტიპის ბინის შიდა მოხმარებისაა და არ გააჩნია საერთო სარგებლობის გასასვლელი კომპონენტის ფუნქცია. ამ ნაწილში პროექტი კორექტირებისას არ შეცვლილა.

გიორგი ზირაქაშვილი
განმარტების მომზადების თარიღი: 23.05.2025

„41“ საექსპერტო შეფასების ნაწილი

- ქალაქ თბილისში დიდ დიღომში III მიკრო რაიონში N29 კორპუსის მიმდებრედ 01.10.08.006.217 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან.
- არქიტექტურული პროექტის წესებთან შესაბამისობის შეფასება მოხდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.
- დოკუმენტაციის სისწორეზე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი.
- საექსპერტო შეფასების ავტორი პასუხისმგებელია მხოლოდ არქიტექტურული პროექტის *წესებთან* შესაბამისობის დადგენაზე.
- არქიტექტურული პროექტის ცვლილება, უნდა შეთანხმდეს საექსპერტო შეფასების ავტორთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საექსპერტო დასკვნის განახლება. მასთან შეუთანხმებლად არქიტეტურული პროექტის შეცვლის შემთხვევაში საექსპერტო შეფასება ავტომატურად კარგავს ძალას.
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად კვალიფისიური სპეციალისტების მიერ.

პროექტის აღწერა:

•საპროექტო ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი დიდი დიღომი III მიკრო რაიონში N29 კორპუსის მიმდებრედ 01.10.08.006.217

•საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სც-2; სწ-2; დს).

•დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები:

- გაპის რეკვიზიტები: 5348444 30.03.2021
- პროექტის შეთანხმების ერკვიზიტები: 6435665 27.04.2023
- მშენებლობს ნებართვის რეკვიზიტები: 6465960 18.05.2023

•საპროექტო მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში III მიკრო რაიონში N29 კორპუსის მიმდებრედ 01.10.08.006.217 ნაკვეთს დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაღვრება საავტომობილო გზა, სამხეთის ნაწილზე საფეხმავლო გზა, ხოლო სხვა გვერდებზე მომიჯნავე მიწის ნაკვეთები მოსაზღვრეობს. ნაკვეთი 6194კვ.მ. ფართობისაა და ამონაწერის მიხედვით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულება გააჩნია. ფორმით არაერთგვაროვანი მრავალკუთხედია. რელიეფი მცირედქანობიანია.

•საპროექტო ობიექტის სტრუქტურისა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების აღწერა:

პროექტი ითვალისწინებს მიწის დონიდან 49.55მ. სიმაღლის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. შენობის კონსტრუქციული სართულიანობა არის 16, მათ შორის 1 მიწისქვეშა სართულია. მიწისქვეშა სართულის ნაწილზე გათვალისწინებულია დამხმარე სათავსების მოწყობა, ძირითად ნაწილზე ავტოსადგომია. პირველი სართულზე გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომები და ხანძრის მართვის

ცენტრის ოტახის მოწყობა, ხოლო სხვა სართულები მთლიანად დაკავებული იქნება საცხოვრებელი ერთეულებით.

ავტოსადგომების რაოდენობა დათვლილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოთხოვნათა დაცვით და განთავსებულია მიწისქვეშა სართულებზე პირველ სართულზე და ეზოში.

შენობის ყველაზე მაღლა მდებარე დაკავებული იატაკი, ყველაზე დაბლა მდებარე სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისადგომი ადგილიდან 37მ.-ზე მაღლა მდებარეობს. აქედან გამომდინარე შენობა ხვდება მაღლივი შენობის მეორე კატეგორიაში.

შენობის კონსტრუქციული სტრუქტურა ადგილზე ფორმირებული რკინა/ბეტონის მონოლითური კარკასია. შემავსებლად გამოიყენება ბლოკი. სახურავი მონოლითურ ფილაზე მოწყობილ თბო და ჰიდროსაიზოლაციო ფენილების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც ყველა მხრიდან მოქცეულია კაპიტალურ პარაპეტში. პარაპეტის სიმაღლე „წესები“-თ დადგენილზე მეტია და მისი ცეცხლმედეგობა გარე კედლების შესაბამისია.

•ნულოვანი ნიშნულის განსაზღვრა:

+0.00 ნიშნული განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად მიწისპირა სართულის კონსტრუქციული იატაკის ზედაპირზე და გათვალისწინებულია მიწის პირის დონეზე.

•საპროექტო ობიექტის მხატვრულ-ესთეტიკური გადაწყვეტა:

ფასადები მოეწყობა არქიტექტურული პროექტის შესაბამისად.

ასევე მნიშვნელოვანია ტერიტორიის განვითარება დენდროლოგიური თვალსაზრისით. აქ გათვალისწინებულია ბალახის საფარის და ხეების დარგვა - ზრუნვა - მოვლა - პატრონობა.

კვლევის შემადგენლობა: მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 (31.05.2019) დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრული საექსპერტო შეფასება გულისხმობს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობას, სულ მცირე, შემდეგი ნაწილების მითითებით:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება.
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.
6. მისაწვდომობის შეფასება.
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.
8. სახურავის ანაწყობების შეფასება.
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

    საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასება
12. ლიფტების შეფასება
13. სახანძრო სამსახურისათვის მისადგომი ლიფტის ფოიეს შეფასება
14. ავტოსადგომის შეფასება

N01 დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

დაკავებულობა:

- *მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი -3.00; ღია ავტოსადგომი +0.00) - შეესაბამება წესების 311.3 ქვეთავს.*
- *დამხამრე ჯგუფი დს (ხანძრის მართვის ცენტრი; სახანძრო ტუმბოს და წყლის ავზის ოთახები, ლიფტების სამანქანო ოთახები; დამხმარე ფართობები) - შეესაბამება წესების 312.1 ქვეთავს.*
- საცხოვრებელი ჯგუფი სც-2. (ბინები) - *შეესაბამება წესების 310.4 ქვეთავს.*

დაკავებულობის დატვირთვა:

- *მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2* *(ავტოსადგომი)* ---------- ფაქტორი 18.6 მთლიანი.
  - დდ მიწისქვეშა სართული -3.00 (შემოზღუდული ავტოსადგომები) ------ 84
  - დდ მიწისქვეშა სართული +0.00 (ღია ავტოსადგომები) ------ 51

- *დამხამრე ჯგუფი დს* (დამხმარე ფართობები)---------- ფაქტორი 27.9 მთლიანი.
  - დდ მიწისქვეშა სართული -3.00 (სახანძრო ტუმბოს და წყლის რეზერვუარის ოთახები) -- 3
  - დდ მიწისქვეშა სართული -3.00 (დამხმარე სათავსები)---------- 9
  - დდ 1 სართული (ხანძრის მართვის ცენტრი) ---------- 1
  - დდ სახურავი ლიფტების სამანქანე ოთახები) ---------- 2

- *საცხოვრებელი ჯგუფი* სც-2. (საცხოვრებელი ერთეულები) --------- დდფ 18.6 მთლიანი.
  - დდ სართული 02 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 03 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 04 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 05 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 06 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 07 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 08 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 09 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 10 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 11 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 12 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 13 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 14 (ბინები) ---------- 105
  - დდ სართული 15 (ბინები) ---------- 105

შენიშვნა: გეგმებზე „დდ“ დაანგარიშებული და დამრგვალებულია მთელის სიზუსტით ცალცალკე კონკრეტული ერთეულებისთვის. ამის გამო აქ დაანგარიშებული და გეგმებზე მოცემული „დდ“-ები შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს.

- დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხდვით დაანგარიშებულია დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გადახურულ აივნებთან ერთად და გარე კედლების გარეშე გაყოფილი დაკავებულობის ფაქტორზე).
- დაკავებული ერთეულისთვის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი მინიჭებულია წესების 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

N02 კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციული ტიპი, მისი სიმაღლის, ფართობის და სართულების რაოდენობის შესაბამისად, შერჩეულია I-A, ***რაც შეესაბამება წესების 503 ცხრილს.***
- სართულების რაოდენობა მიწის ზევით ---------- შეუზღუდავი
- ფართობი სართულზე ---------- შეუზღუდავია
- სიმაღლე ---------- შეუზღუდავია

- ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით განსაზღვულია წესების 601 ცხრილით:
  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 3 სთ.
  იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ------ 2 სთ.
  სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები --- 1 ½ სთ.

- შენობის გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება წესების 602 ცხრილს, კერძოდ:
  ფასადი „1-7“ -- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9მ.<** --- 0 სთ.
  ფასადი „ც-ლ“ --- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9მ.<** --- 0 სთ.
  ფასადი „ი-ბ“ --- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9მ.<** --- 0 სთ.
  ფასადი „ბ-ა“ (ყრუ ნაწილი) --- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **7.55მ.<** --- 1 სთ.
  ფასადი „4*-1*“ --- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9მ.<** --- 0 სთ.
  ფასადი „ა-კ“ --- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9მ.<** --- 0 სთ.
  ფასადი „კ-ც“ --- ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9მ.<** --- 0 სთ.

N03 სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და სართულიანობა შესაბამისობაშია *წესების* 503 ცხილთან, კერძოდ:
  - კონსტრუქციული ტიპი ------ I-A
  - სიმაღლე ---------- შეუზღუდავია

    სც-2
  - სართულიანობა ---------- შეუზღუდავია
  - ფართობი ---------- შეუზღუდავია

    სწ-2
  - სართულიანობა ---------- შეუზღუდავია
  - ფართობი ---------- შეუზღუდავია

    დს
  - სართულიანობა ---------- შეუზღუდავია
  - ფართობი ---------- შეუზღუდავია

N04 გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

- გასასვლელის სამივე კომპონენტის: გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელის და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება განხორციელდა შენობის სართულიანობის, დაკავებულობის, დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის და ჩიხური დერეფნების ანალიზის საფუძველზე *წესების* 10-ე თავის შესაბამისად.
- *წესების* 1021.2(2) ცხრილის შესაბამისად გასასვლელის აუცილებელი რაოდენობა შეადგენს ორს, რაც უზრუნველყოფილია ყველა სართულზე ორი შიგა გასასვლელი გზა-კიბით.
- *წესების* შესაბამისად, ვინაიდან სახანძრო მანქანის ყველაზე დაბალი მისადგომიდან ბოლო დაკავებული იატაკის ზედაპირამდე მანძილი აღემატება 23 მეტრს, კიბეებთან მოწყობილია ვესტიბიულები.
- შიგა გასასვლელი გზა-კიბე და მისი ჰოლი *წესების* 1022.2 ქვეთავის შესაბამისად მინიმუმ 2 საათიანი შემომზღუდავებით შემოზღუდული სივრცეა და აკმაყოფილებს წესების 1009.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ორივე კიბის უჯრედებიდან გარე სივრცეში გამოსვლა, +0.00 ნიშნულზე ხდება პიდაპირ შენობის გარეთ ეზოში გათვალისწინებულ შიდა ტროტუარზე, რაც შესაბამისობაშია *წესების* 1022.1 ქვეთავთან. ხოლო ამ ადგილიდან საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა ხდება ასევე დაუბრკოლებლად ეზოს გავლით ტროტუარით.
- შენობის სახურავზე მოხვედრა ხდება კიბის უჯრედიდან, რაც აკმაყოფილებს *წესების* 1009.16 ქვეთავის მოთხოვნას.
- ვინაიდან სახურავი დაუკავებელი სივრცეა, მეორე კიბის უჯრედიდან სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია ლიუკის საშუალებით, თანახმად *წესების* 1009.16.1 ქვეთავისა. *(ვინაიდან სახურავზე ადის ერთი კიბე აღნიშნული ლიუკის მოწყობა არასავალდებულოა).*
- დაცულია წესების 1018.4 ქვეთავის პირობის დაცვა ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით.
- გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური მანძილები გაზომილია წესების 1016.3 ქვეთავის შესაბამისად.
- საერთო სავალი ბილიკი არ აღემატება 23 მეტრს და შეესაბამება *წესების* 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.
- კიბის უჯრედებში ღიობები მოწყობილია დაწნევის სისტემისთვის. კიბეებს ასევე უნდა ქქონდეს მექანიკური განიავება წესების 1203.4.2 ქვეთავის შესაბამისად დამაბინძურებლების გასაწოვად.
  აღნიშნული ღიობები ცეცხლისგან და კვამლისგან დაცულია შენობის სხვა ნაწილებისგან გამმიჯნავი ცეცხლმედეგი კედლებით.
  გათვალისწინებულია წესების 909.4.4 ქვეთავის მითითება.
  კიბის უჯრედების და მათი ჰოლების ასევე ლიფტების ვესტიბიულების განიევების ან/და დაწნევის დეტალური საჭიროება და პირობები უნდა განისაზღროს ხანძარუსაფრთხოების პროექტით.

N05 გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

- კიბის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია წესების 1005.3.1 ქვეთავის შესაბამისად, რის მიხედვითაც გზა-კიბეების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის

დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე.

- გზა-კიბების პროექტით გათვალისწინებული მარშების სიგანე აკმაყოფილებს წესების 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბის სიგანე სახელურებს შორის შეადგენს მინიმუმ 1.20მ.-ს.
- სწორად არის განსაზღვრული კიბის საფეხურების ზომები და შეესაბამება *წესების* 1009.7.2 ქვეთავს. აღნიშნულის მიხედვით კიბის შემაღლების/შუბლის სიმაღლე უნდა იყოს, არაუმეტეს, 18 სმ და, სულ მცირე, 10 სმ. მართკუთხა საფეხურის თარაზული ზედაპირის (საბიჯელის) სიღრმე უნდა იყოს, სულ მცირე, 28 სმ.
- სახელურები მოწყობილია *წესების* 1012 ქვეთავის შესაბამისად.
- მოაჯირები მოწყობილია კიბის მარშების ღია მხარეს, რომელიც წარმოადგენს მილკვადრატების ფარდას და აკმაყოფილებს *წესების* 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება *წესების* 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- 1.30X0.76მ ზომის ორი თავისუფალი ზედაპირის თავშესაფარი შშმ პირთათვის მოწყობილია ყველა სართულზე ლიფტის ფოიეში ან/და კიბის ბაქანზე.
- დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია წესების 1018.2 ცხრილის მიხედვით და შეადგენს 1.2 მეტრს, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია მასზე მეტი. დერეფნის სიგანე დაანგარიშებულია *წესების* 1005.3.2 ქვეთავის მიხედვით, სადაც გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია.
- ყველა სართულზე დერეფანი უწყვეტია. ყველა აუცილებელი გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობა საზოგადოებრივ გზამდე გასასვლელისკენ სავალის გასწვრივ არ მცირდება, რაც შეესაბამება *წესების* 1005.4 ქვეთავს.
- *წესების* 1005.3.2 ქვეთავის შესაბამისადაა ასევე დაანგარიშებული გზა-კარების სუფთა სიგანე, რომელიც პროექტის მიხედვით გაღებულ მდგომარეობაში შეადგენს *წესების* შესაბამისად დადგენილ მინიმალურ ზომაზე (0.82 მეტრზე) მეტს.

- ***მისაწვდომობის ეროვნული რეგლამენტის*** *1103.5 ქვეთავის შესაბამისად „ა“ ტიპის ერთეულებში შესასვლელი მთავარი კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც უნდა გაიაროს დამკავებელმა, უნდა შეესაბამებოდეს „რეგლამენტის“ 404-ე ქვეთავს. სადაც მოთხოვნილია კარის თავისუფალი სიგანე 82სმ. და მის ორივე მხარეს თავისუფალი სივრცეების გათვალისწინება, რაც პროექტით დაცულია სრულად.*

- **მისაწვდომობის ეროვნული რეგლამენტის** 1104.5.1 ქვეთავის შესაბამისად „ბ“ ტიპის ერთეულებში შესასვლელი მთავარი კარი უნდა შეესაბამებოდეს „რეგლამენტის“ 404-ე ქვეთავს. აქ ა ტიპისგან განსხვავებით კარის ორივე მხარეს თავისუფალი სივრცეების გათვალისწინება მოეთხოვება მხოლოდ მთავარ კარს, ხოლო ყველა კარის ღიობის სიგანე რეგლამენტის 1104.5.2.1 ქვეთავის შესაბამისად (82სმ) აქაც სავალდებულოა. აღნიშნული პირობები დაცულია სრულად. (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 41-ე დადგენილების 1008.1.1 ქვეთავის N8 გამონაკლისის მიხედვით ბ ტიპის ერთეულებში კარის სიგანე დასაშვებია იყოს 80სმ. თუმცა ვინაიდან რგლამენტი უფრო მკაცრ მოთხოვნას აწესებს დაცულია ეს უკანასკნელი).

- შენობაში ყველა კარის თავისუფალი სიგანე შეადგენს 82 სმ.-ს ან მეტს, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი და საძნებელი ერთეულებისთვის განკუთვნილი ქარიშხლის და დამცავი კარისა *(1103.5 N4 და 1104.5.1 N1 გამონაკლისი)* და ისეთ სივრცეში შესასვლელისა, რომელსაც მისაწვდომობა არ მოეთხოვება (მაგალითად მრიცხველების ოთახი).

- *შენიშვნა: ჩარჩოში ჩასმულ შეფასებაში მოხდსენებული ქვეთავები იხ. მისაწვდომობის ეროვნული რეგლამენტის ტექსტში*

N06 მისაწვდომობის შეფასება:

- ეზოს ნიშნულიდან +0.00 ნიშნულამდე ასვლა ხდება 15სმ-ზე ნაკლები სიმაღლის პანდუსით რაც არ საჭიროებს მოაჯირებს და სახელურებს.

- შენობიდან აუცილებელი გამოსასვლელი კარების 60%-ზე მეტი და ყველა ერთეულიდან გამოსასვლელი ყველა გასასვლელი გზა-კარი არის მისაწვდომი. დაცულია წესების 1105.1 ქვეთავის მოთხოვნები.

- *წესების* 1007.2 ქვეთავის შესაბამისად, ყველა მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ მოიცავს ლიფტს (1007.4), კარებს (1005.3.2) და შენობიდან საზოგადოებრივ სივრცემდე სავალ ბილიკს.

- სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მისწვდომობას ყველა სართულზე ყველა საცხოვრებელი და საოფისე ერთეულის კართან და ყველა ერთეულის შიდა სივრცეში, ყველა სამუშაო, საძინებელსა და სააბაზანო ოთახში, ასევე საზაფხულო ფართობებზე.

- ყველა საცხოვრებელი ერთეულის მთავარი კარი შესაბამისობაშია მისაწვდომობის რეგლამენტის 404-ე თავის მოთხოვნებთან და მათ ორივე მხარეს გათვალისწინებულია შესაბამისი გაბარიტული ზომების იატაკის თავისუფალი ფართობები.

- ავტოსადგომების რაოდენობის დათვლა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხდება საცხოვრებელი ფართობის (კ2) შესაბამისად ანუ სც-2-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე ანგარიში უნდა მოხდეს წესების (41-ე დადგენილების) 1106.2 ქვეთავის მიხედვით. სადაც ავტოსადომების 2% უნდა იყოს მისაწვდომი. მაგრამ დათვლა ხდება წესების 1106.1 ცხრილის მიხედვით უფრო მკაცრი ვარიანტით. ეზოში მთლიანობაში მოწყობილია6 შშმპ ავტოსადგომი, ლიფტამდე მისასვლელი თავისუფალი სვლაგეზით.

- შშმპ მისაწვდომი ავტოსადგომებიდან ერთი განკუთვნილია მისაწვდომი მიკროავტობუსისთვის, შესაბამისად წესების 1106.5 ქვეთავისა.

- ბინების დაგეგმარებისას გათვალისწინებულია *წესების* 1107.2-ე ქვეთავის გამონაკლისის შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საცხოვრებელი ერთეულის (ბინის) მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესაბამის მისაწვდომ ერთეულად, ა ტიპის ერთეულად ან ბ ტიპის ერთეულად მოწყობა.

- წესების 1107.6.2.1.1 ქვეთავის შესაბამისად ვინაიდან შენობაში არის 20ზე მეტი საცხოვრებელი ერთეული, „ა“ ტიპის ერთეულის რაოდენობა დაანგარიშებულია ბინების საერთო რაოდენობის 2%-ით და შეადგენს ცხრა ერთეულს.

- წესების 1107.6.2.1.2 ქვეთავის შესაბამისად, ვინაიდან შენობაში 4-ზე მეტი საცხოვრებელი ერთეულია ყველა მათგანი B ტიპის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

N07გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- *წესების* 602 ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობისთვის შერჩეული დაკავებულობის, კონსტრუქციის ტიპის და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების მიხედვით გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრა:
    - **ფასადი „1-7“** ----- 0 სთ.
    - **ფასადი „ც-ლ“** ------ 0 სთ.
    - **ფასადი „ი-ბ“** ------ 0 სთ
    - **ფასადი „ბ-ა“ (ყრუ ნაწილი)** ------ 1 სთ.
    - **ფასადი „4*-1*“** ------ 0 სთ.
    - **ფასადი „ა-კ“** ------ 0 სთ.
    - **ფასადი „კ-ც“** ------ 0 სთ.

  გარე კედლები იქნება მონოლითური რკინა/ბეტონის კარკასის და შემავსებლად გამოიყენება ბლოკი, რაც რეალურად უზრუნველყოფს გარე კედლების მოთხოვნილზე მეტ ცეცხლმედეგობის ხარისხს. აღნიშნული აკმაყოფილებს *წესების* 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- *წესების* 705.8 ცხრილის შესაბამისად საპროექტო შენობისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების მიხედვით განისაზღვრა გარე კედლებში ღიობების მოწყობის მოთხოვნები, რაც პროექტში გათვალისწინებულია კერძოდ:
    - გარე კედლების ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე, წესების 705.8 ცხრილის შესაბამისად ღიობების ფართობები შეუზღუდავია.

შენიშვნა - რეკომენდაცია:

- *გარე კედლები უზრუნველყოფს შენობას ატმოსფერული ზემოქმედებისგან დამცავი კონვერტით. გარე კედლის კონვერტი მოიცავს ჰიდროიზოლაციას (აღწერილია ქვეთავში 1405.4). გარე კედლის კონვერტის დაგეგმარება და მშენებლობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ წყალი არ დაგროვდეს კედლის სტრუქტურაში, რაც მიიღწევა გარე საფრის ქვეშ (აღწერილია ქვეთავში 1404.2) წყალმედეგი ზღუდის მოწყობით და გარე მხარეზე განთავსებულ ანაწყობში მოხვედრილი ნაწრეტი წყლის ამრიდი საშუალებით. გარე კედლის ანაწყობი კონდენსატისგან დაცული უნდა იყოს 1405.3 ქვეთავის შესაბამისად. (1403.2)*

N08 სახურავის ანაწყობების შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია ადგილზე ფორმირებული რკინა/ბეტონის მონოლითური გადახურვის მოწყობა, რომელიც დაიფარება თბოსაიზოლაციო და ჰიდროიზოლაციის ფენით და მიიღებს მცირე 2-4% დაქანებას წყალშემკრები მილების მიმართულებით.

- *წესების* 705.11.1 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით სახურავის პერიმეტრი მთლიანად შემოფარგლულია 76სმ.-ზე მაღალი პარაპეტით. პარაპეტის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხს.

- სახურავზე წყალშემკრები მილები მოწყობილია *წესების* 1503.4 ქვეთავის შესაბამისად.

- *წესების* 1505.1 ცხრილის და შერჩეული კონსტრუქციის ტიპის მიხედვით შენობას ესაჭიროება B კლასის სახურავის ანაწყობი, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას. აღნიშნული მოთხოვნა პროექტში დაცულია 2 საათიანი სახურავის ანაწყობის სახით.

შენიშვნები:

- *პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის. სახურავის ზედაპირის მოსაზღვრე ნებისმიერ მხარეს, მაქსიმუმ, 46 სმ სიმაღლეზე, პარაპეტის ზედაპირი უნდა იყოს არაწვადი მასალის, არაწვადი უნდა იყოს ასევე გადამფარავი ჰიდროიზოლაცია და ლავგარდანის (კარნიზის) მასალები. პარაპეტის სიმაღლე არ უნდა იყოს 76 სმ-ზე ნაკლები იმ წერტილიდან, სადაც სახურავის ზედაპირი და კედელი ერთმანეთს კვეთს.*
- *სახურავის ფენილი უნდა დაიფაროს სახურავისთვის ნებადართული ბურულებით, რომლებიც შენობაზე ან ნაგებობაზე მაგრდება ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად. სახურავის ბურულმა რომ შენობა ან ნაგებობა დაიცვას, ისინი წესებისა და მწარმოებლის მითითებების შესაბამისად უნდა დაგეგმარდეს და მოეწყოს. (1503.1)*
- *ჰიდროიზოლაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში. (1503.2)*

N09 ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- შენობის სართულიანობიდან გამომდინერე (14 სართული) გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არანაკლებ 2 საათიანია და შეესაბამება *წესების* 1009.3.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობაში გათვალისწინებული შახტების (ლიფტის, საჰაერო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება *წესების* 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს
- 508.4 ცხრილის მიხედვით:
    - სწ-2 / დს ------ 0სთ.
    - სც-2 / სწ-2 ------ 2სთ.
    - სც-2 / დს ------ 1სთ.
    - 508.4 ცხრილში ცეცხლმედეგობის ხარისხი ზოგ ნაწილში წარმოდგენილია ერთმანეთის შეუსაბამოდ. პროექტში გამოყენებულია უფრო მკაცრი მოთხოვნა თანახმად ამავე წესების 102.1 ქვეთავის პირობებისა.
- თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათიანია და შესაბამისობაშია წესების 707.3.10 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობაში არსებული საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით, რაც შეესაბამება *წესების* 420.2 და 708.3 ქვეთავების მოთხოვნებს.
- დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისგან გამიჯნულია 0.5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც აკმაყოფილებს *წესების* 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- ავტოსაშხების არსებობის შემთხვევაში დერეფნების სქ; სვ; სწ-2 და დს ერთეულებისგან გამმიჯნავებს *წესების* 1018.1 ცხრილის მოთხოვნების შესაბამისად ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება.

    - ✓ *ცეცხლმედეგ კედლებს , ცეცხლმედეგ ზღუდეებს , ცეცხლმედეგ ტიხრებს, კვამლგაუმტარ ზღუდეებსა და კვამლგაუმტარ ტიხრებს ან ნებისმიერ სხვა კედელს, რომელთა ღიობები ან გაყვანილობები დაცული უნდა იყოს , ამოსაცნობად მუდმივი და ეფექტიანი ნიშნები ან ტრაფარეტები უნდა ჰქონდეს. ამოსაცნობი ნიშნები 703.7 პუნქტის შესაბამისად უნდა მოეწყოს*

N10 ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- **ავტოსაშხეფი სისტემა:**
    - წესების 403.3 ქვეთავის შესაბამისად მაღლივი შენობა უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით. წესების 903.2.8 ქვეთავის N2 გამონაკლისის შესაბამისად საცხოვრებელ ბინებში ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება აუცილებელი არ არის. ასევე წესების 1018.4 ქვეთავის შესაბამისად ვინაიდან ჩიხური დერეფნის სიგრზე არ აღემატება 6 მეტრს საშხეფი სისტემის მოწყობის მოთხოვნა არასავალდებულოა.
    - წესების 903.2.10 ქვეთავის ორივე პირობის შესაბამისად -3.00 ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომები მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.
    - +0.00 ნიშნულზე ღია ავტოსადგომი წესების 903.2.10 ქვეთავის შესაბამისად არაა აღჭურვილი საშხეფი სისტემით.
    - წესების 903.3.1.1.1 ქვეთავის შესაბამისად ავტოსაშხეფი არაა დაყენებული სახანძრო სამაშველო დანაყოფის მისადგომი ლიფტის სამანქანო ოთახებში და მანქანადანადგარებისთვის განკუთვნილ სივრცეებში.
    - წესების 903.2.11 ქვეთავის შესაბამისად დს დაკავებულობა გათავისუფლებულია ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის ვალდებულებისგან.
    - წესების 1707.3.1 ქვეთავის შესაბამისად ავტოსაშხეფები არ უნდა დააყენონ ლიფტის სამანქანო ოთახებში, ლიფტის მანქანა-დანადგარებისთვის განკუთვნილ სივრცეებსა და სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტების შახტებში.
    - ავტოსაშხეფი სისტემების კომპონენტები დაზუსტდეს ხანძარუსაფრთხოების პროექტით.

- **მილდგარები:** ვინაიდან შენობის ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან *წესების* 905.3.1 ქვეთავის შესაბამისად გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების მოწყობა, რომელიც ემსახურება ყველა სართულს 20-25მ.-ის მანძილზე ყველა სივრცეში მიღწევითა და 6-9მ.-ზე წყლის ჭავლით.
- **სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:** ±0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობის შესაძლებლობა. რაც შეესაბამება წესების 912-ე ქვეთავის მოთხოვნებს. მისაერთებლის და ჰიდრანტების (წყლის ასაღები წერტების) მოწყობა - საჭიროების საკითხი დეტალურად შეთანხმებული და გადაწყვეტილი უნდა იქნას სახანძრო უსაფრთხოების პროექტით და სახანძრო სამაშველო სამსახურთან.

- **ჰიდრანტი (წყლის ასაღები წერტები):** საპროექტო ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებულია 2 ჰიდრანტის მოწყობის შესაძლებლობა. (ასევე შესაძლებელია სახანძრო-სამაშველო სამსახურთან შეთანხმებით საპროექტო ტერიტორიიდან 200 მ.-ის რადიუსში არსებულის გამოყენება პროექტში გათვალისწინებული ერთ-ერთი ჰიდრანტის ნაცვლად).

- **ხელის ცეცხლმაქრები:** დს; სწ-2 დაკავებულობებში მოწყობილია ხელის ცეცხლმაქრები, რაც აკმაყოფილებს წესების 906.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ასევე დამატებით სც-2 დაკავებულობის სარგებლობაში მყოფ დერეფნებში.

- **სახანძრო ტუმბოს ოთახი:** სახანძრო ტუმბოს ოთახი განთავსებულია -3.00 ნიშნულზე. პროექტის მიხედვით გამიჯნულია 2-საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით. შეესაბამება წესების 913.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ტუმბოს ოთახში მოხვედრა შესაძლებელია უშუალოდ შიგაგასასვლელი კიბიდან ტამბურის გავლით.

- **წყლის რეზერვუარი:** მოწყობილია -3.00 ნიშნულზე სახანძრო ტუმბოს ოთახის მომიჯნავედ.

- **სახანძრო განგაშის სისტემები:**
    - საძინებელ ოთახებში და ზოგან კედლის გარეთ აღნიშნულ ფართობებთან ახლოს, მოწყობილია წესების 907.2.11.2 ქვეთავის შესაბამისად კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები.
    - ვინაიდან საცხოვრებელი ერთეული მდებარეობს სამი ან მეტი სართულით მაღლა ყველაზე დაბალ დონეზე მდებარე შენობის გამოსასვლელიდან და ასევე შენობა მოიცავს 16-ზე მეტ საცხოვრებელ ერთეულს, წესების 907.2.9.1 ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად სც-2 დაკავებულობის ჯგუფის სართულები აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით.
    - ყველა ბინაში, დერეფნებში ასევე დს; სწ-2 ერთეულებში განთავსებულია კვამლაღმომჩენები.
    - აუცილებელი საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად.
    - სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები განთავსებულია გასასვლელებთან არაუმეტეს 1.5მ მანძილში და შეესაბამება წესების 907.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
    - დერეფანი, კიბის და ლიფტის ფოიეები აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით, რომელიც უზურნველყოფს სუფთა ჰაერის მიწოდებას აღნიშნული სივრცეებისთვის.
    - ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით. გათვალისწინებულია: ავტოსაშხეფი სისტემა; სახანძრო მილდგარების სისტემა; სახანძრო განგაშის სისტემა; ხელის ცეცხლმაქრები.

<u>შენიშვნები და განმარტებები:</u>

- *განიავების და წაწნევის ასევე საშხეფი სისტემების კომპონენტები დაზუსტდეს ხანძარსაფრთხოების პროექტით.*
- *თითოეულ იატაკზე/სართულზე საშხეფ სისტემას საშხეფის სამართავი სარქველის მაკონტროლებელი ამომრთველი და წყლის გამშვები მექანიზმი უნდა ჰქონდეს, რომელთაც შენობის სახანძრო განგაშის სისტემა გააკონტროლებს.*
- *სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს გარეთ დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემის მუშაობისას ლიფტის შახტის შემომზღუდავში წყლის გაჟონვა ნებადართული მეთოდით თავიდან უნდა იქნეს აცილებული.*
- *სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ წესების 905 ქვეთავისა და NFPA 14-ის შესაბამისად (905.2)*
- *პროექტით მილდგარების განთავსება გათვალისწინებულია კიბეების უჯრედებში. მილდგარების სისტემის მოწყობა შეთანხმებულ იქნას სახანძრო სამაშველო სამსახურთან და მოეწყოს მისი რეკომენდაციით.*
- *მილდგარების კარადებზე დატანილი უნდა იყოს ამოსაცნობი ნიშნები, არანაკლებ, 5 სმ სიმაღლის ასოებით, რომელთა ფერი მკვეთრად განსხვავდება ფონისგან*
- *პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10 - ის მოთხოვნების შესაბამისად. გათვალისწინებულ იქნას სახანძრო-სამაშველო სამსახურის რეკომენდაცია*
- *არანაკლებ, 80 სმ სიგანის, 90 სმ სიღრმისა და 2 მ სიმაღლის სამუშაო სივრცე უნდა დარჩეს და შენარჩუნდეს თითოეული კედელზე განთავსებული სახანძრო მისაერთებლის წინა და გვერდითა მხარეებთან და თავისუფლად მდგომი სახანძრო მისაერთებლების გარშემო, თუ არ არსებობს სხვა მოთხოვნა და შეთანხმება სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან. (912.3.2*
- *სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატებოდეს. (907.4.2.1)*
- *სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები უნდა მოეწყოს წესების 907.4.2 ქვეთავის შესაბამისად.*
- *კვამლაღმომჩენები უნდა მიეერთდეს ავტომატურ სახანძრო განგაშის სისტემას, წესების 907.2.13.1.1 ქვეთავის შესაბამისად. ასევე ნებისმიერი აღმომჩენის ჩართვამ უნდა გააქტიუროს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა.*
- *დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება (102.3)*
- *სახანძრო განგაშის შემადგენელი კომპონენტების მოწყობა შემოწმება და ჩაბარება უნდა მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ სათანადო გეგმებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად.*
- *საჭირებისას სახანძრო ტუმბოები უნდა განთავსდეს NFPA 20-ის შესაბამისად.*
- *სახანძრო ტუმბოები, სამართავი და მაკონტროლებელი დაცული უნდა იყოს მომსახურების შესაძლო შეწყვეტისგან NFPA 20-ის შესაბამისად, რაც შეიძლება გამოიწვიოს აფეთქების, ცეცხლის, წყალდიდობის, მიწისძვრის, მღრღნელების, მწერების, ქარიშხლის, ყინვის, ვანდალიზმის ან სხვა უარყოფითი ვითარებებისგან წარმოქმნილმა დაზიანებებმა*
- *ტემპერატურა ტუმბოს ოთახში. საჭიროებისას ტუმბოს ოთახებში ან ტუმბოს განსათავსებელ ნაგებობებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო საშუალებები ტემპერატურის შესანარჩუნებლად 5°C-ს ზემოთ.*
- *წყალმომარაგება აუცილებელი სახანძრო ტუმბოებისათვის. აუცილებელი სახანძრო ტუმბოები უნდა უერთდებოდეს სხვადასხვა ქუჩაზე მდებარე, სულ მცირე, ორ მაგისტრალურ წყალსადენს. მაგისტრალურ წყალსადენსა და მისაერთებლებს,*

ასევე, ტუმბოებსა და მისაერთებლებს შორის გაყვანილი უნდა იყოს ცალკე მომმარაგებელი მილსადენი. თითოეული მისაერთებელი, ასევე, მისაერთებელსა და ტუმბოს შორის გაყვანილი მომმარაგებელი მილსადენი ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს ტუმბოს (საქაჩის) მუშაობისათვის აუცილებელი ჭავლი და წნევა. გამონაკლისი: დასაშვებია, ერთსა და იმავე ძირითად წყალსადენ მილს ჰქონდეს ორი მისაერთებელი, თუ იგი აღჭურვილია სარქვლით, რომელიც უზრუნველყოფს წყლის შეუფერხებლად მიეწოდებას, სულ მცირე, ერთი მისაერთებელი საშუალებით

N11 წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა გამოთვლილია სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის და სრულად შეესაბამება წესების 1602.1 ცხრილის მინიმალურ მოთხოვნებს, კერძოდ:
    - უნიტაზი ---------- მოთხოვნილი 443ც. (გათვალისწინებულია 443 ც.)
    - ხელსაბანი ---------- მოთხოვნილი 443ც. (გათვალისწინებულია 443 ც.)
    - აბაზანები შხაპები ---------- მოთხოვნილი 443ც. (გათვალისწინებულია 443ც.)
    - სამზარეულოს ნიჟარა ---------- მოთხოვნილი 443ც. (გათვალისწინებულია 443ც.)
    - ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი ------- მოთხოვნილი 23ც. (გათვალისწინებულია 443ც.)

N12 ლიფტების შეფასება:

- წესების 1702.4 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად შენობაში გათვალიწინებულია ლიფტი, რომელშიც შესაძლებელია 2.15X0.60მ. ზომის საკაცის მოთავსება. ლიფტის კაბინის, კარის, ფოიეს, დერეფნის და ყველა ერთეულის შესასვლელი კარი უზრუნველყოფს აღნიშნული საკაცის თავისუფალ გადაადგილებას.

- ლიფტის შახტა შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით.

- ლიფტის შახტის თავში მოწყობილია საჰაერო ნახვრეტი (ღიობი), რაც უზრუნველყოფს წესების 1704.1; 1704.2 და 17.04.3 ქვეთავების მოთხოვნების დაცვას

- წესების 403.6.1 ქვეთავის შესაბამისად შენობებში, რომლის დაკავებული იატაკი სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე მაღლაა, უნდა არსებობდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი, არანაკლებ, ორი ლიფტი. სახანძროსამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი თითოეული ლიფტის ტვირთამწეობა, სულ მცირე, 1600 კგ უნდა იყოს და 1707-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. აღნიშნული მოთხოვნები პროექტში გათვალისწინებულია.

- 2 ლიფტი (რომელიც სახანძრო-სამაშველოა) შეესაბამება ეროვნული მისაწვდომობის 407.4.1 ცხრილს და 407.4.1(დ) სურათს.

- სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტების გარდა პროექტით ასევე გათვალისწინებულია 1702.4 ქვეთავის მოთხოვნების შესანბამისი 2 ლიფტი. აღნიშნული ლიფტების წინ არაა მოწყობილი ტამბური ვინაიდან წესების 909.21 ქვეთავის შესაბამისად გათვალისწინებულია ლიფტის შახტის დაწნევის სისტემა.

შენიშვნები და განმარტებები:

- *403.6.1 ქვეთავით მოთხოვნილ ადგილებში შენობის ნებისმიერ იატაკს/სართულს სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტი უნდა ემსახურებოდეს. სახანძროსამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტი ამ თავისა და ASME A17.1/CSA B44-ის მოთხოვნების მიხედვით უნდა დააყენონ, ამ ქვეთავში მოდიფიცირებული მოთხოვნების გათვალისწინებით.*
- *შენობაში სახანძრო განგაშის გამააქტიურებელი ნებისმიერი მექანიზმის ამუშავებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ყველა ლიფტში I ფაზის საგანგებო გამოძახების რეჟიმი უნდა ჩაირთოს ASME A17.1/CSA B44-ის შესაბამისად. ყველა სხვა ლიფტი ჩვეულებრივ რეჟიმში უნდა მუშაობდეს, თუ I ფაზის საგანგებო გამოძახების რეჟიმი მექანიკურად/ხელით არ გააქტიურდა დამოუკიდებელი, სამპოზიციანი, ღილაკით მართული „სახანძრო გამოძახების“ ამომრთველით ან ავტომატურად არ ჩაირთო ლიფტის შესაბამის ფოიეში, ლიფტის შახტში ან ლიფტის სამანქანო ოთახში დაყენებული კვამლაღმომჩენებით. ამასთან, თუ შენობაში 1708-ე ქვეთავის შესაბამისად დაყენებული დამკავებელთა საევაკუაციო ლიფტებიცაა, ASME A17.1/CSA B44-ის მოთხოვნების შესაბამისი დამოუკიდებელი, სამპოზიციანი, ღილაკით მართული „სახანძრო გამოძახების“ ამომრთველი წინასწარგანსაზღვრულ დონეზე უნდა დააყენონ სახანძროსამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ყოველი ლიფტისთვის.*
- *ქვეთავის შესაბამისად ლიფტის გამთიშავი საშუალებები არ უნდა დააყენონ ლიფტის სისტემებზე, რომლებიც გამოიყენება, როგორც სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტები.*
- *სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის შახტი 708-ე ქვეთავის შესაბამის შახტის შემომზღუდავში უნდა მოთავსდეს*
- *მეხანძრეების საქმიანობისას ლიფტის შახტი მთელ სიმაღლეზე, არანაკლებ, 11 ლუქსი განათებით უნდა ნათდებოდეს, რაც სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი თითოეული ლიფტის კაბინის თავის დონეზე იზომება.*

N13 სახანძრო სამსახურისათვის მისადგომი ლიფტის ფოიეს შეფასება

- წესების 1707.7 ქვეთავის შებასმისად სახანძრო სამსახურისათვის მისადგომი ლიფტებიდან გამოსასვლელად მოწყობილია სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიე.
- სახანძრო ლიფტების ფოიეს ზომა შეესაბამება წესების 1707.7.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- *წესების* 1707.7.1 ქვეთავის შესაბამისად სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიე უშუალოდ უკავშირდება შიგა გასასვლელის გზა-კიბეს. კავშირი კიბესა და ფოიეს შორის დამყარებულია ანტიპანიკური კარის საშუალებით.
- წესების 1707.7.2 ქვთავის შესაბამისად სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიე კვამლგაუმტარი ზღუდით უნდა შემოიზღუდოს, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი, არანაკლებ, 2 საათია, ფოიეს გზა-კარები კი 1707.4.3 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. აღნიშნული მოთხოვნები პროექტში დაცულია სრულად. 1707.7.2 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად აღნიშნული ფოიეს შემოზღუდვა გამოსასვლელის დონეზე სავალდებულო არ არის.
- წესების 1707.7.3 ქვთავის შესაბამისად ლიფტის შახტაში შესასვლელი კარის გარდა სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს ყველა გზა-კარი 716.5 ქვეთავის შესაბამისი კარის ანაწყობით უნდა აღიჭურვოს, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი ¾ საათია (45 წუთია). ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს. ამ მოთხოვნების მიხედვით კი კვამლისა და წევის მაკონტროლებელი კარის ანაწყობი UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს ძირში ხელოვნური საგმანავის განთავსების გარეშე. 1707.7.3 ქვთავის მოთხოვნები დაცულია სრულად.

შენიშვნები და განმარტებები:

- *სახანძრო-სამაშველო 2 დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტის ფოიეში ლიფტის შახტის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს ჩარჩოს მარჯვენა კუთხეში სტანდარტული დიზაინის გრაფიკული სიმბოლო უნდა განთავსდეს, რომელიც მიუთითებს, რომელი ლიფტებია სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი. სახანძროსამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის სიმბოლოს დიზაინი 1707.7.5 სურათის შესაბამისად უნდა შესრულდეს და ქვემოთ ჩამოთლილ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის სიმბოლოს სიმაღლე, არანაკლებ, 7,5 სმ უნდა იყოს. 2. სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის სიმბოლოს შეუღლი შუახაზი ლიფტის შახტის კარის ჩარჩოს შუაში უნდა იყოს. სიმბოლოები არ უნდა განთავსდეს ზღურბლთან მოპირკეთებული იატაკიდან 1,98 მ-ის ქვემოთ და 2,15 მ-ის ზემოთ.*
- *სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტი სახანძრო მართვის ცენტრიდან NFPA 72-ის შესაბამისი სტანდარტული საავარიო მომსახურების ინტერფეისული სისტემის მიერ მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს.*
- *სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი თითოეული ლიფტის მომსახურე ელემენტები როგორც ჩვეულებრივი, ისე 60/კლასი 2/დონე 1 ტიპის სათადარიგო ელექტრომომარაგებით უნდა მარაგდებოდეს: 1. ლიფტის მოწყობილობა; 2. ლიფტის შახტის განათება; 3. ლიფტის კაბინის სივრცის განანიავებელი და გასაგრილებელი მოწყობილობა; 4. ლიფტის საკონტროლებლის გასაგრილებელი მოწყობილობა.*

- *ლიფტის შახტისა და სამანქანო ოთახის გარეთ არსებული გაყვანილობა ან კაბელები, რომლებიც ჩვეულებრივი და სათადარიგო ელექტროენერგიის მიწოდებას, საკონტროლო სიგნალების ამოქმედებას, კარადასთან კავშირს, განათებას, გათბობას, ჰაერის კონდიცირებას, განიავებასა და ცეცხლაღმომჩენი სისტემების მუშაობას უზრუნველყოფს სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტებში, 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქციით უნდა იყოს დაცული ან კაბელის ცეცხლმედეგობის ხარისხი, სულ მცირე, 1 საათი უნდა იყოს და მთლიან წრედს უზრუნველყოფდეს. გამონაკლისი: სიგნალის საკონტროლებელი გაყვანილობისა და კაბელების დაცვა საჭირო არ არის, თუ გაყვანილობა და კაბელები II ფაზის საგანგებო რეჟიმს არ ემსახურება.*

N14 ავტოსადგომის შეფასება:

- -3.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია მიწისქვეშა შემოზღუდული ავტოსადგომები, ხოლო +0.00 ნიშნულზე ღია ავტოსადგომები. ღია ავტოსადგომები დაკავებულობის გარეშე ასევე დაპროექტებულია ეზოში. მათი ზომები შეესაბამება წესების 406.9.4.3.1 ცხრილის მონაცემებს.
- ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით ავტოსადგომების მოწყობის ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ საცხოვრებელი ფუნქციისთვის, შშმპ მისაწვდომი ავტოსადგომების რაოდენობის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ წესების 1106.2 ქვეთავის მიხედვით. მის შესაბამისად სც-2 ჯგუფების დაკავებულობებისთვის, სადაც სავალდებულოა მისაწვდომი „ა“ ან „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული, თითოეული ტიპის ავტოსადგომი სივრცის, სულ მცირე, 2 %, მაგრამ თითოეული ტიპის, არანაკლებ, ერთი ავტოსადგომი სივრცე მისაწვდომი უნდა იყოს. მაგრამ არქიტექტურის სამსახურის მიდგომის შესაბამისად შშმპ ავტოსადგომები პროექტში დათვლილია 1106.1 ცხრილით.
- საცხოვრებელი ფართობის მიხედვით ავტოსადგომების მოთხოვნილი რაოდენობა არის 178. წესების 1106.1 ცხრილის მიხედვით მოწყობილია 6 შშმპ ავტოსადგომი ეზოში.
- შშმპ ავტოსადგომებიდან ორი მოწყობილია მიკროავტობუსის სტანდარტების შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების 1106.5 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მისაწვდომი ავტოსადგომები უშუალოდ დაკავშირებულია შშმპ სვლაგეზს, რომელიც უზრუნველყოფს მათ კავშირს ლიფტთან და ყველა იატაკთან.

<u>შენიშვნები და განმარტებები:</u>

- *ავტოსადგომების იატაკის ზედაპირი უნდა იყოს ბეტონის ან მისი მსგავსი არაწვადი მასალის, რომელსაც არ აქვს შეწოვის უნარი. ავტომობილებისა და სხვა ავტომობილების დასაყენებლად განკუთვნილი იატაკის ფართობები დაქანებული უნდა იყოს, რომ სითხე საწრეტისკენ ან ავტომობილების მთავარი შესასვლელი გზაკარისკენ ადვილად გადაადგილდეს. გამონაკლისი: 1. ავტოსადგომებში მიწის დონეზე დასასაშვებია ასფალტის საფარი; 2. აუცილებელი არ არის, სწ-2 ჯგუფის ავტოსადგომი გარაჟების იატაკის ზედაპირი დაქანებული იყოს.*
- *ავტოსადგომი გარაჟი უნდა აღიჭურვოს 905.3 ქვეთავში მოთხოვნილი სახანძრო მილდგარების სისტემით.*
- *დაუშვებელია შემდეგნაირი გამოყენება და გადაკეთებები: 1. ავტომობილების შესაკეთებელი სამუშაოები 2. ავტობუსების, სატვირთო მანქანებისა და მსგავსი ავტომობილების დაყენება 3. გარე კედელში დატანებული აუცილებელი ღიობების ნაწილობრივი ან სრული დაფარვა ბრეზენტით ან რაიმე სხვა საშუალებით; 4. საწვავის განაწილება.*
- *შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მექანიკური განიავების სისტემით.*
- *შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით 903.2.10 ქვეთავის შესაბამისად.*

„732“ საექსპერტო შეფასების ნაწილი

- *საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები აღებულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებიდან და განიმარტოს მის შესაბამისად. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.*
- *არქიტექტურული პროექტის მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება მოხდა პროექტის მთავარი არქიტექტორის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.*
- *დოკუმენტაციის სისწორეზე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი.*
- *საექსპერტო შეფასების ავტორი პასუხისმგებელია მხოლოდ არქიტექტურული პროექტის მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენაზე.*
- *არქიტექტურული პროექტის ნებისმიერი ცვლილება, უნდა შეთანხმდეს საექსპერტო შეფასების ავტორთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საექსპერტო დასკვნის განახლება. მის შეუთანხმებლად არქიტეტურული პროექტის შეცვლის შემთხვევაში საექსპერტო შეფასება ავტომატურად კარგავს ძალას.*

საექსპერტო კვლევა:

კვლევის შემადგენლობა: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საექსპერტო კვლევა ჩატარებულია ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ საფუძველზე და მოიცავს ინფორმაციას მისი თავების მიხედვით.

1. ***შენობების ბლოკები***
2. ***მისაწვდომი სვლაგეზი***
3. ***ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები***
4. ***წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები***
5. ***სპეციალური ოთახები და სივრცეები***
6. ***ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები***
7. ***სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებები***
8. ***საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები***

N01 შენობების ბლოკები

იატაკის ზედაპირები

- შენობაში ყველა სართულის (16 კონსტრუქციული სართული) იატაკის ზედაპირი არის მდგრადი, მყარი და არასრიალა. (302.1)

დონის შეცვლა

- შენობის სართულებზე არ ხდება დონის შეცვლა.

მოსატრიალებელი სივრცე

- მოსატრიელებელი სივრცეები გათვალისწინებულია საერთო სარგებლობის ადგილებში (დერეფნები; ლიფტის კართან ფოიეში; შენობიდან გასასვლელებში). გათვალისწინებულია ლათინური “T”-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე ახალი შენობა-ნაგებობისთვის (ვარიანტი-3) (სურ. 304.3.2.1(გ)).
- მოსატრიალებელი გათვალისწინებულია საოფისე ფუნქციის ყველა ერთეულის ყველა ოთახში. ასევე ა ტიპის საცხოვრებელი ერთეულების ყველა ოთახში.
- მოსატრიალებელი სივრცის იატაკი შეესაბამება 302-ე ქვეთავს, რომელიც იატაკის ზედაპირის მდგრადობას განსაზღვრავს.

გადაფარვა

- ზოგ მოწყობილობასთან ხდება გადაფარვა 25სმ.-ზე ნაკლებად რეგლამენტის 304.3.2.1.1 ქვეთავის შესაბამისად, იმ პირობით რომ გათვალისწინებულია 306-ე ქვეთავის შესაბამისი თავისუფალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგებისთვის.

იატაკის თავისუფალი სივრცე

- იატაკის თავისუფალი სივრცეები გათვალისწინებულია ყველა იატაკზე განთავსებულ ყველა სივრცეში და ყველა მოწყობილობასთან.
- იატაკის თავისუფალი სივრცეების ზედაპირი არ არის დახრილი და შეესაბამება 305.2-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის თავისუფალი სივრცეების ზომა შეესაბამება 305-ე ქვეთავს და არის 1300X760მმ. („ბ“ ერთეულებში 1200X760).

თავისუფალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგებისთვის.

- ტუალეტებში ხელსაბანთან გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცე მუხლამდე და ფეხის ფალანგებისთვის 306.2 ქვეთავის შესაბამისად.

გამოშვერილი საგნები

- მიმოსვლის ბილიკებზე კედლიდან გამოშვერილი ნაწილები შესაბამისობაშია 307.2-ე ქვეთავის მოთხოვნებთან.

მისაწვდომი დიაპაზონი

- საპროექტო შენობაში არსებული ელემენტების სამართავები განთავსებულია 308-ე ქვეთავის შესაბამისად განსაზღვრული მისაწვდომი დიაპაზონის არეალში.

N02 მისაწვდომი სვლაგეზი

მისაწვდომი სვლაგეზები

- საპროექტო ობიექტში მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს იატაკის ზედაპირს, შესაბამისად 402-ე ქვეთავისა.
- ეზოში შიდა ტროტუარიდან 15სმ.-ზე ნაკლები ამაღლების პანდუსით შესაძლებელია ლიფტებამდე მისვლა, ხოლო ლიფტები უზრუნველყოფს ყველა სართულის მისაწვდომობას.

სავალი ზედაპირი

- სავალი ზედაპირების იატაკი არის მყარი და შეესაბამება 302-ე ქვეთავს.
- სავალი ზედაპირების დონეები არ იცვლება (403.4).
- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შენობის შიდა სივრცეში რეგლამენტით განსაზღვრულია მინიმუმ 900მმ ხოლო შენობის გარეთ მინიმუმ 1200მმ რაც პროექტით დაცულია მეტობით. (403.5.1)
- პროექტის მიხედვით სავალ ზედაპირებზე სადაც ხდება 180°-იანი შემობრუნება 1200მმ-ზე ნაკლები შემოსავლელზე, შეესაბამება 403.5.2-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
- სავალი ზედაპირების 90°-იანი ბრუნის ადგილებში დაცულია 403.5.3-ე ქვეთავის პირობები.
- ვინაიდან მისაწვდომი სავალი ბილიკების სიგანე დერეფანში ზოგან 1500მმ.-ზე ნაკლებია 403.5.4.1-ე ქვეთავით მოთხოვნილი გვერდასაქცევი სივრცეები გათვალისწინებულია და დახაზულია ილუსტრაციებში.

კარი, გზა-კარი

- ყველა კარის თავისუფალი სიგანე პროექტის მიხედვით არის მინიმუმ 820მმ, რაც შესაბამისობაშია 404.2.2 ქვეთავთან.
- ყველა კართან, როგორც შენობიდან გამოსასვლელთან ასევე მისაწვდომ იატაკზე შიდა სივრცეში ყველა ერთეულის კართან მის ორივე მხარეს, მათ შორის ა ერთეულში ყველა ოთახის კართან, გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცეები მანევრირებისთის. შეესაბამება 404.2.3 ქვეთავს. პროექტში გათვალისწინებულია აღნიშნული ქვეთავის სხვადასხვა შემთხვევა, რაც დეტალურად ასახულია ილუსტრაციებში.
- ყველა ა და ბ საცხოვრებელი ერთეულის მთავარი კარი შესაბამისობაშია რეგლამენტის 404-ე თავის მოთხოვნებთან და მათ ორივე მხარეს გათვალისწინებულია შესაბამისი გაბარიტული ზომების იატაკის თავისუფალი ფართობები. ხოლო ამასთან ყველა ა ტიპის ერთულის ყველა კარის ორივე მხარეს გათვალისწინებულია მისაწვდომობის (დადგენილება 732) 404-ე ქვეთავის შესაბამისი იატაკის თავისსუფალი ფართობები. თანახმად მისაწვდომობის რეგლამენტის *1103.5 და* 1104.5.1 ქვეთავებისა, სადაც განმარტებულია ა და ბ ტიპის ბინების კარების მიმართ მოთხოვნები.

პანდუსები

- +0.00 ნიშნულზე მოსახვედრად ეზოს ნიშნულიდან მოწყობილია 15სმ.-ზე ნაკლები ამაღლების პანდუსი, რაც არ საჭიროებს მოაჯირებისა და სახელურების მოწყობას.
- პანდუსები გათვალისწინებულია საავტომობილო გზის გადაკვეთის ადგილებში ტროტუარიდან საავტომობილო სავალ ზედაპირამდე ჩასასვლელად. აღნიშნული შესაბამისობაშია მისაწვდომობის ეროვნული რეგლამენტის 406.3(ა) და 406.3(ბ) სურათებს.

N03 ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები

- **ავტოსადგომი სივრცეები.** ავტოსადგომების რაოდენობა დათვლილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შეადგენს 178 ერთეულს. აქედან 6 შშმპ ავტოსადგომია. შშმპ ავტოსადგომებიდან 2 მოწყობილია მიკროავტობუსის სტანდარტების შესაბამისად.

გზა-კიბეები

- პროექტში გათვალისწინებულია შიგა გასასვლელი 2 გზა კიბე.
- **საფეხურების საბიჯებელი და ამღლებები.** კიბის მარშის ყველა საფესურის ამაღლება თანაბარია და შეესაბამება 504.2 ქვეთავს.
- **ღია შუბლი.** კიბის საფეხურებზე ღია შუბლი 504.3-ე ქვეთავის შესაბამისად დაუშვებელია რაც დაცულია პროექტის მიხედვით.
- **საფეხურის ნაშვერები.** ფეხის საბიჯებლის სიღრმე და გადმოშვერა შეესაბამება 504.5-ე ქვეთავს და შეადგენს 280 - 300მმ. (რეგლამენტით დადგენილია 280მმ.-იანი სიღრმე).
- **სახელურები.** კიბის მარშების ორივე მხარეს მინიმუმ 1200მმ.-ის დაშორებით მოწყობილია 505-ე ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

N04 წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები

- პროექტთ სრულადაა გათვალისწინებული ტუალეტის და სამზარეულოს მოწყობილობების ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნები.
- ტუალეტის და სამზარეულოს მოწყობილობების მიმართ მოთხოვნები დეტალურად აღწერილია N8 პუნქტში და შეესაბამება რეგლამენტის 11-ე თავის მოთხოვნებს.

N05 სპეციალური ოთახები და სივრცეები

- ეს თავი არეგულირებს თავშეყრის ფართობებისა და სამზარეულოების მოწყობას. ვინაიდან შენობაში საცხოვრებელი, სც-2; სწ-2, დს ფუნქციებია ამ თავის მოთხოვნები არ ვრცელდება. რაც შეეხება სამზარეულოების მიმართ მოთხოვნებს აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია საპროექტო შეფასების N8 პუნქტში „ბ“ ერთეულის დეტალურ ნაწილში და იცავს რეგლამენტის ყველა პირობას.

N06 ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები

- აღნიშნული თავი არეგულირებს ჩაშენებული ავეჯის მოწყობას, როგორიცაა სასადილო და სამუშაო ზედაპირები, ძელსკამები, სავაჭრო და მომსახურებისთვის განკუთვნილი დახლები და ვიტრინები. აღნიშნული მოწყობილობები ობიექტზე მისი ფუნქციიდან გამომდინარე არ არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე ამ თავის მოთხოვნები მასზე არ ვრცელდება.

N07 სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებები

- საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მარტივი რელიეფითაა წარმოდგენილი, ხოლო სამხრეთი ნაწილი რთული რელიეფით ხასიათდება სადაც პროექტით გათვალისწინებულია მარტივი რეკრეაციული ელემენტების მოწყობა, მოპირკეთებული ეზო და გამწვანებული ზედაპირი. აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია რეგლამენტის 10-ე თავის მოთხოვნებთან.

N08 საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები

<u>„ა ტიპის ერთეული“</u>

- სწორადაა განსაზღვრული ა ტიპის ერთეულის რაოდენობა. წესების (41-ე დადგენილების) 1107.6.2.1.1 ქვეთავის შესაბამისად სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, რომლებზეც განთავსებულია 20-ზე მეტი საცხოვრებელი ერთეული, ა ტიპის ერთეული უნდა იყოს 2% (არანაკლებ 1). აღნიშნული დაცულია და პროექტი ითვალისწინებს ექვსი ა ტიპის ერთეულის მოწყობის შესაძლებლობას.
- <u>მისაწვდომი სვლაგეზი:</u> რეგლამენტის 1103.3.1 ქვეთავის შესაბამისად ა ტიპის ერთეულებში ყველა სივრცესა და ელემენტს, რომელიც ერთეულის ნაწილია უნდა აკავშირებდეს სულ მცირე ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად ა ტიპის ერთეულის ყველა სივრცეში მოწყობილია მისაწვდომი სვლაგეზი.
  მისაწვდომი სვლაგეზი ყველა მონაკვეთში 90სმ.-ის სიგანეს უზრუნველყოფს, რაც შეესაბამება რეგლამენტის 403ე- ქვეთავს.
- <u>მოსატრიალებელი სივრცე:</u> რეგლამენტის 1103.3.2 ქვეთავის შესაბამისად დაცულია მოთხოვნა და ა ტიპის ერთეულებში მოწყობილია მოსატრიალებელი სივრცეები.
- კონკრეტული ერთეულის შემთვევაში გამოყენებულია რეგლამენტის 304.3.2.1 ქვეთავით განსაზღვრული, ლათინური “T”-ს ფორმის მოსატრიალებელი (სურ. 304.3.2.1 (გ)).
- <u>კარები და გზა-კარები:</u> რეგლამენტის 1103.5 ქვეთავის შესაბამისად ერთეულის მთავარი კარი და ყველა გზა-კარი, რომელშიც უნდა გაიაროს დამკავებელმა უნდა შეესაბამებოდეს ამავე რეგლამენტის 404-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
- <u>ელემენტების სამართავები:</u> რეგლამენტის 1103.9 ქვეთავის შესაბამისად განათების სამართავები, ელექტრო გამანაწილებლები, ელექტრო ჩამრთველები და დენსართები უნდა შეესაბამებოდეს რეგლამენტის 309-ე ქვეთავს. აღნიშნულის არსი ისაა, რომ სამართავი მოწყობილობები განლაგდეს რეგლამენტის 308 ქვეთავით განსაზღვრულ მიდგომის დიაპაზონში, რაც პროექტის მიხედვით დაცულია.
- <u>სარეცხი მოწყობილობები:</u> რეგლამენტის 1103.10 ქვეთავი სარეცხი მანქანების მოწყობასთან დაკავშირებით გვავალდებულებს ამავე რეგლამენტის 611-ე ქვეთავის პირობების დაცვას. აღნიშნულის შესაბამისად სარეცხი მანქანის წინ უნდა არსებობდეს თავისუფალი სივრცე პარალელური მისაწვდომობისთვის. მანქანისთვის რომელშიც სარეცხი წინიდან თავსდება, იატაკის თავისუფალი სივრცის შუახაზი დაბალანსებული უნდა იყოს კარის გაღების შუაწერტილიდან 600მმ.-ზე.
- პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია წინიდან ტანსაცმლის მიმღები სარეცხი მანქანები, რომელთან მიდგომა შესაძლებელია პარალელური მისაწვდომობით ზემოაღნიშნული ღერძების 600მმ.-იან დაბალანსებურობაში. აქედან გამომდინარე სარეცხი მანქანა მოწყობილია რეგლამენტის 611 ქვეთავის შესაბამისად.
- <u>ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები:</u> რეგლამენტის 1103.11.1 ქვეთავის N3 გამონაკლისის მიხედვით, ჩასამაგრებელი ბუდე უნიტაზისთვის რეგლამენტის 604.5 ქვეთავის შესაბამისად გვერდითა კედელზე არსებული ხელმოსაჭიდი ძელების შემადგენელი ნაწილებისთვის არ არის აუცილებელი.
- ამავე ქვეთავის N4 გამონაკლისი გვავალდებულებს ჩასამაგრებელი ბუდის მოწყობას იქ სადაც ხელსაბანი გადაფარავს უნიტაზის თავისუფალ სივრცეს 1103.11.2.4.4 ქვეთავის გამონალკისის შესაბამისად. პროექტში ა ტიპის ერთეულში უნიტაზის თავისუფალი სივრცე სადაც არაა გადაფარული ხელმოსაჭიდებისთვის ჩასამაგრებელი ბუდის მოწყობის ვალდებულებისგან გათავისუფლებულია.
- რეგლამენტის 1103.11.2.1 ქვეთავის შესაბამისად პროქეტით გათვალისწინებული კარი გაღებისას არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.

- **ხელსაბანი:** რეგლამენტის 1103.11.2.2 ქვეთავი ხელსაბანი ნიჟარის მოწყობის საკითხზე გვამისამართებს რეგლამენტის 606-ე ქვეთავში. ეს თავი ადგენს, რომ ხელსაბანთან იატაკის თავისუფალი სივრცე უნდა მოეწყოს წინიდან იმის გათვალისწინებით, რომ დატოვებული იქნება სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგებისთვის, რეგლამენტის 306 ქვეთავის შესაბამსად. პროექტის მიხედვით ა ერთეულის ბინებში ხელსაბანთან შესაძლებელია წინიდან მისადგომით სარგებლობა.
- ამავე ქვეთავის მიხედვით ხელსაბანის ქვეშ თავისუფალი სივრცის ანგარიშისას წყლის გადავსების მილის გათვალისწინება არ უნდა მოხდეს.
- ხელსაბანის გადმოწევის ზომა, მის წინ იატაკის თავისუფალი სივრცის მდებარეობა, მის ქვეშ ასევე თავისუფალი სივრცის არსებობა მუხლამდე და ფეხის ფალანგებისთვის და სიმაღლე შესაბამისობაშია რეგლამეტის 606 ქვეთავის პირობებთან.
- **სარკეები:** რეგლამენტის 1103.11.2.3 ქვეთავის შესაბამისად ხელსაბანის თავზე მოწყობილი სარკის ამრეკლავი ზედაპირის ქვედა ბოლო უნდა განთავსდეს იატაკიდან 1000 მმ. სიმაღლეზე. აღნიშნული გათვალისწინებულია პროექტით.
- **უნიტაზი:** უნიტაზი განთავსებულია რეგლამენტის 1103.11.2.4.1 ქვეთავის შესაბამისად, კერძოდ: ის განთავსებულია ისე, რომ მის უკან კედელია. უნიტაზის შუახაზი გვერდითა კედლიდან/მოწყობილობიდან დაშორებულია 400 – 450 მმ.-ით.
- უნიტაზის თავისუფალი სივრცის ზომები შეადგენს უკანა კედლიდან პერპენდიკულარულად 1500მმ.-ს, ხოლო გვერდითა კედლიდან პერპენდიკულარულად 1400მმ.-ს. აღნიშნული შესაბამისობაშია რეგლამენტის 1103.11.2.4.2 და 1103.11.2.4.3 ქვეთავებთან.
- უნიტაზის თავისუფალ სივრცეში არ მდებარეობს არაფერი გარდა უნიტაზისა და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მოწყობილობებისა, რაც შეესაბამება რეგლამენტის 1103.11.2.4.4 ქვეთავს.
- შესაძლებელია უნიტაზის თავისუფალ სივრცეში მოეწყოს ხელსაბანი თუ უნიტაზის „იატაკი“ 150X170სმ ზომებშია. პროექტში აღნიშნული ვარიანტია გამოყენებული. (მისაწვდომობის რეგლამენტის სურათი 1103.11.2.4(გ))
- უნიტაზის სიმაღლე გათვალისწინებულია 380 – 480მმ.-ს შორის შესაბამისად რეგლამენტის 1103.2.4.5 ქვეთავისა.
- უნიტაზის ჩასარეცხი მექანიზმი მდებარეობს 308 ქვეთავით განსაზღვრულ მისაწვდომის დიაპაზონში, რაც შესაბამისობაშია რეგლამენტის 1103.11.2.4.6 ქვეთავთან.
- ასევე უნიტაზთან მდებარეობს ლათინური “T”-ს ფორმის მოსატრიალებელი. მოსატრიალებელი გადაფარულია 8სმ.-ით დასაშვებ მხარეს იმ პირობით რომ დარჩენილია ფეხის ფალანგების ადგილი. დეტალურად ასახულია ილუსტრაციებში.
- **საშხაპეები:** ა ტიპის ერთეულებში გათვალისწინებულია საშხაპე ნაკვეთურები. საშახპის გაბარიტული ზომები პროექტით შეადგენს 900X900მმ-ზე მეტს, ხოლო შესასვლელი 900მმ რაც აკმაყოფილებს რეგლამენტის 608 ქვეთავის მოთხოვნას.
- თავისუფალი სივრცე (1300X760) უზრუნველყოფილია საშხაპის გახსნილი მხარის 900მმ სიგანის მომიჯნავედ.
- საშხაპისთვის გათვალისწინებული ადგილის გაბარიტული ზომები იძლევა იმის საშუალებას რომ სურვილის ან საჭიროების შეთხვევაში, ნაცვლად ზემოაღნიშნულისა, მოეწყოს ეტლის შესაგორებელი ალტერნატიული საშხაპის ნაკვეთური, რეგლამენტის 608.2.3 ქვეთავის შესაბამისად.
- საშხაპე ნაკვეთურში გათვალისწინებულია 608.2.2.3 ქვეთავით მოთხოვნილი ასაკეცი დასაჯდომი. ასაკეცი დასაჯდომი უნდა შეესამებოდეს რეგლამენტის 610.3 ქვეთავს.
- ხელმოსაჭიდი ძელების მოწყობისას გათვალისწინებული იქნას რეგლამენტის 608.3 ქვეთავი.
- **სამზარეულოები:** ა ტიპის ერთეულებში სამზარეულოს დაგეგმარებისას გათვალისწინებულია რეგლამენტის 1103.12 ქვეთავის მოთხოვნები.

- სამზარეულოს კარადები და მოწყობილობები განთავსებულია ორ მხარეს სურათი “1103.12.1.1(ბ)”-ის ფორმის ვარიანტის შესაბამისად და მათ შორის (კედელსა და მოწყობილობებს შორის) თავისფუფალი სივრცე შეადგენს 1000მმ.-ზე მეტს, რაც შესაბამისობაშია რეგლმენტის 1103.12 ქვეთათან.
- სამზარეულოს კარადებთან და მოწყობილობებთან იატაკის თავისუფალი ზედაპირის ზომები შეესაბამება რეგლამენტის 1103.12.2 ქვეთავის მოთხოვნას. აღნიშნული ქვეთავი ითხოვს, რომ მოეწყოს 305-ე ქვეთავის შესაბამისი იატაკის თავისუფალი ზედაპირები ზომებით 1300X760მმ., რაც პროეტით დაცულია.
- <u>სამუშაო ზედაპირი:</u> რეგლამენტის 1103.12.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილია სამუშაო ზედაპირი 760მმ. სიგანის.
- ვინაიდან რეგლამენტის 1103.12.5.2 ქვეთავი გვავალდებულებს იატაკის თავისუფალი სივრცეს სამზარეულოს ყველა მოწყობილობასთან წინიდან ან პარალელურ მიდგომით, ა ტიპის ერთეულში სამუშაო ზედაპირი დაგეგმარებულია პარალელური მისაწვდომობით. სამუშაო ზედაპირის სიმაღლე შეესაბამება რეგლამენტის 1103.12.3.2 ქვეთავის გამონაკლისს.
- <u>ნიჟარა:</u> რეგლამენტის1103.12.4.1 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილია სამზარეულოს ნიჟარა. აღნიშნული თავის N3 გამონაკლისის შესაბამისად ნიჟარასთან მისაწვდომობა უზრუნველყოფილია პარალელური მიდგომით. თავისსუფალი ზედაპირი ნიჟარის მიმაგთ ცენტრში უნდა მდებარეობდეს. ზემოაღნიშნული პირობები პროექტში დაცულია სრულად.
- სამზარეულოს ნიჟარის წინა მხარის სიმაღლე შეესაბამება რეგლამენტის 1103.12.4.2 ქვეთავს ან/და მის გამონაკლისს.
- <u>ონკანები:</u> რეგლამენტის 1103.12.4.3 ქვეთავი ონკანების მოწყობის გასარკვევად გვამისამართებს რეგლამენტის 309-ე ქვეთავში, რომელიც აგრძელებს გადამისამართების სერიას და თავისდაუნებურად გვიშვებს მეზობელ 308-ე ქვეთავში, სადაც განმარტებულია მისაწვდომი დიაპაზონი. სწორედ ამ დიაპაზონის არეალში უნდა მოხდეს ონკანების მოწყობა რაც პროექტით დაცულია.
- <u>ჭურჭლის სარეცხი:</u> პროექტში ჭურჭლის სარეცხი განთავსებულია სამზარეულოს ნიჟარასთან ახლოს ისე, რომ მისი კარი გაღებულ მდგომარეობაში არ იჭრება არც ნიჟარის და არის მისივე იატაკის თავისუფალი ზედაპირის ფარგლებში. აღნიშნული მოთხოვნილია რეგლამენტის 1103.12.5.3 ქვეთავით და დაცულია პროექტში.
- <u>საჭმლის მოსამზადებელი ზედაპირი:</u> ქურის წინ, მის ცენტრში, პროექტით გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი იატაკის თავისუფალი სივრცე, რაც შეესბამება რეგლამენტის 1103.5.4.2 ქვეთავს.
- <u>ღუმელი:</u> პროექტში ღუმელის მოწყობა არ არის გათვალისწინებული.
- <u>მაცივარი/საყინულე:</u> პროექტით გათვალისწინებულია კომბინირებული მაცივარ-საყინულე, რომელიც შეესაბამება რეგლამენტის 1103.12.5.6 ქვეთავს. პროექტის მიხედვით მაცივართან გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი იატაკის თავისუფალი სივცე, რაც ასევე აღნიშნული ქვეთავის შესაბამისია.
- <u>ფანჯრები:</u> რეგლამენტის 1103.13 ქვეთავი ფანჯრების საკითხის გასარკვევად მიგვითითებს რეგლამენტის 309.2 და 309.3 ქვეთავებს. 309.3 ქვეთავი კი განმარტებაში იშველიებს 308-ის მისაწვდომ დიაპაზონს (380X1200მმ. იატაკიდან) და გვეუბნება, რომ ელემენტის სამართავები უნდა განთავსდეს 308 ქვეთავში განსაზღვრული ერთი ან ერთზე მეტი მიწვდომის დიაპაზონის ფარგლებში. რაც შეეხება 309.2 ქვეთავს ის გვავალდებულებს 305 ქვეთავის შესაბამისი იატაკის თავისუფალი სივრცის (1300X760) მოწყობას ფანჯრებთან. აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია, კერძოდ: ა ტიპის ერთეულში საძინებლის ფანჯარასთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე. ასევე ელემეტის სამართავი მექანიზმი, ამ შემთხვევაში ფანჯრის გამღები სახელური, ფანჯარაზე მოეწყობა

სტანდარტულად და შესაძლებელი იქნება გადამყვანი მექანიზმის მოწყობა 305 ქვეთავში დადგენილი მიწვდომის დიაპაზონის ფარგლებში.

„ბ ტიპის ერთეული“

- *წესების* (41-ე დადგენილების) 1107.6.2.1.2 ქვეთავის შესაბამისად, თუ შენობაში საცხოვრებლად განკუთვნილი ოთხი ან მეტი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულია, ყველა მათგანი ბ ტიპისა უნდა იყოს. აღნიშნული დაცულია სრულად და საჭიროებისამებრ ყველა ბინა შეესაბამება ბ ტიპის ერთეულის მოთხოვნებს.
- ა -სგან განსხვავებით, ბ ერთეულში იატაკის თავისუფალი სივრცის ზომებია 1200X760მმ. 1104.1.1
- მთავარი შესასვლელი: ყველა ბინის მთავარი შესასვლელი მდებარეობს საზოგადოებრივი და საერთო გამოყენების ფართობებიდან მისაწვდომ სხვლაგეზზე, თანახმად რეგლამენტის 1104.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომი სვლაგეზი: ყველა ბინის სივრცე ერთმანეთთან დაკავშირებულია მისაწვდომი სვლაგეზით, თანახმად რეგლამენტის 1004.3 ქვეთავისა.
- სავალი ზედაპირები: პროექტში გათვალისწინებული მისაწვდომი სვლაგეზის სიგანე ყველა მონაკვეთში არის მინიმუმ 900მმ. (1104.4.1)
- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანის შემცირება ხდება 82სმ.-მდე კარების ღიობებში 10 ან 25სმ. მანძილზე (1104.4.1 N1 გამონაკლისი).
- ბინების გარეთ დერეფნებში მისაწვდომი სვლაგეზის სიგანე არის 1500მმ. თუმცა ზოგან ხდება მისი შემცირება. ამიტომ რეგლამენტის 1104.4.1 ქვეთავის N5 გამონაკლისის მოთხოვნიდან გამომდინარე მოწყობილია გვერდასაქცევი სივრცეები.
- პროქეტის მიხდვით სადაც მისაწვდომ სვლაგეზზე გათვალისწინებულია 90 გრადუსიანი შემობრუნება, თავისუფალი სიგანე შესახვევთან მიახლოებისას და დაშორებისას არის 900მმ. (1104.4.1 გამონაკლისი N4) ხოლო იქ სადაც 180 გრადუსით ხდება შემობრუნება 1200მმ.-ზე ნაკლები საგნის/ან სივრცის გარშემო დაცულია რეგლამენტის 1104.4.1 ქვეთავის N2 და N3 გამონაკლისის მოთხოვნები). აღსანიშნავია, რომ 180 გრადუსით მოხვევა ხდება თავისუფალი იატაკის ფარგლებში სადაც შესაძლებელია ლათინური “T”-ტიპის მოსატრიალებლის განთავსება. აქედან გამომდინარე 180 გრადუსით შემობუნებისას შშმპ სვლაგეზზე მოძრაობა შეუფერხელლად მიმდინარეობს.
- ბ ტიპის ერთეულებში იატაკის თავისუფალი სივრცეები შეადგენს მინიმუმ 1200X760მმ. და შესაბამისობაშია რეგლამენტის 1104.1.1 ქვეთავთან.
- კარები და გზა-კარები: რეგლამენტის 1104.5.1 ქვეთავის მიხედვით ყველა ერთეულის მთავარი შესასვლელი კარს მოეთხოვება 404-ე ქვეთან შესაბამისობა, რაც კარის ორივე მხარეს შესაბამისი თავისუფალი სივრცის არსებობას მოთხოვს. აღნიშნული მოთხოვნა დაცულია ბ ერთეულის ყველა მთავარ შესასვლელ კართან.
- აღნიშნულის შესაბამისად, ა ერთეულისგან განსხვავებით 404-ე თავის შესაბამისობა ბ ერთეულში მოეთხოვება მხოლოს მთავარ შესასვლელ კარს, ხოლო დამკავებლის გასავლელ ყველა კარის მიმართ რეგლამენტის 1104.5.2.1 ქვეთავით დადგენილია სიგანის მოთხოვნა. დამკავებელთა გასასვლელ კარებს მოეთხოვება თავისუფალი სიგანე არანაკლებ 820მმ.-ისა, რაც პროექტით დაცულია.
- ელემენტების სამართეავაბი: რეგლამენტის 1104.9 ქვეთავის ცალკეული გამონაკლისის გათვალისწინებით, ელემენტების სამართავები პროექტის მიხედვით განთავსებულია თავისუფალი მიწვდომის დიაპაზონში.
- სარეცხი მოწყობილობები: პროექტის მიხედვით ყველა ბინაში მოწყობილია წინიდან დასატვირთი ტანსაცმლის სარეცხი მანქანები. ყველა მათგანის წინ გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე, ზოგან წინიდან ხოლო ზოგან პარალელური მისაწვდომობით. აღნიშნული შესაბამისობაშია რეგლამენტის 1104.10.1 ქვეთავთან.

- <u>ტუალეტის და აბაზანის მოწყობილობები:</u> ტუალეტების და აბაზანების მოწყობილობები შესაბამისობაშია რეგლამენტის 1104.11 ქვეთავთან.
- <u>უნიტაზები:</u> ყველა ბ ტიპის ერთეულის ბინის ტუალეტში უნიტაზის ცენტრი გვერდითი კედლიდან განთავსებულია 400 – 450 მმ.-ის მანძილზე მოთხოვნილი თავისუფალი მხრიდან. (1104.11.3.1.2.1)
- ბ ტიპის ერთეულებში უნიტაზების თავისუფალი სივრცე პროექტის მიხედვით შეადგენს 1200მმ სიგანეს და 1400მმ სიღრმეს. შეესაბამება რეგლამენტის 1101.11.3.1.2.2.1 და 1101.11.3.1.2.2.2 ქვეთავებს.
- პროექტის მიხედვით ბ ტიპის ერთეულების ნაწილში, უნიტაზის თავისუფალი სივრცე გადაფარულია ტუალეტის მაგიდით ისე, რომ უნიტაზის უკანა კედელზე შენარჩუნებულია მინიმუმ 840მმ.-ის მქონე თავისუფალი სივრცე. (1104.11.3.1.2.2.4)
- <u>საშხაპე ნაკვეთური:</u> ბ ტიპის ერთეულებში პროექტის მიხედვით ყველა საშხაპე ნაკვეთურის გაბარიტული ზომები 900X900მმ.-ზე ტოლი ან მეტია, ასევე საშხაპესთან გათვალისწინებულია 1200X760მმ იატაკის თავისუფალი სივრცე. (1104.11.3.2.3.2 გადამისამართება 1104.11.3.1.3.3)
- <u>ხელსაბანები:</u> რეგლამენტის 1104.11.3.1.1 ქვეთავი ადგენს თუ როგორი უნდა იყოს ხელსაბანთან პარალელურად მისაწვდომობისთის იატაკის თავისუფალ სივრცე მაგრამ არ კრძალავს წინიდან მისაწვდომობას. ასევე 41-ე დადგენილების 1107.2 ქვეთავის შესაბამისად დასაშვებია ბ ტიპის ერთეული დაგეგმარდეს და აიგოს როგორც ა ტიპის ერთეული. აქედან გამომდინარე პროექტით ბ ტიპის ერთეულების ტუალეტებში ხელსაბანთან მოწყობილია წინიდან მისაწვდომი იატაკის თავისუფალი სივრცე, ისე როგორც ა ტიპის ერთეულში რეგლამენტის 1103.11.2.2 ქვეთავის შესაბამისად, რომელიც გვამისამართებს რეგლამენტის 606-ე ქვეთავში. ეს თავი კი ადგენს, რომ ხელსაბანთან იატაკის თავისუფალი სივრცე უნდა მოეწყოს წინიდან.
- <u>სამზარეულოები:</u> ბ ტიპის ერთეულში სამზარეულოს დაგეგმარებისას გათვალისწინებულია რეგლამენტის 1104.12 ქვეთავის მოთხოვნები.
- ბ ტიპის ერთეულებში სამზარეულოს კარადები და მოწყობილობები განთავსებულია ერთ ან ორ მხარეს, ზოგ ბინაში მესამე მხარეს მოწყობილია კედელი იმ პირობით, რომ შესაბამისობაშია რეგლამენტის 1104.12.1.1 ქვეთავის მოთხოვნებთან და სამზარეულოს კარადა-მოწყობილობებსა და კედელს შორის თავისფუფალი სივრცე შეადგენს მინიმუმ 1000მმ მეტს.
- სამზარეულოს კარადებთან და მოწყობილობებთან იატაკის თავისუფალი ზედაპირის ზომები შეესაბამება რეგლამენტის 1104.12.2 და 1104.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- <u>სამზარეულოს ნიჟარა:</u> ბ ტიპის ერთეულებში ყველა ნიჟარასთან მდებარეობს პარალელური მისაწვდომობის იატაკის თავისუფალი სივრცე მის ცენტრში.
- <u>ჭურჭლის სარეცხი მანქანა:</u> პროექტის მიხედვით ბ ტიპის ერთეულებში ჭურჭლის სარეცხი მანქანები სამზარეულოებში განთავსებულია ისე, რომ მისი კარი გაღებულ მდგომარეობაში დაბრკოლებას არ უქმნის ჭურჭლის სარეცხისთვის დატოვებულ თავისუფალ სივრცეებს, როგორც წინიდან ასევე პარალელურად მისადგომების შემთხვევაში). აღნიშნული მოთხოვნილია რეგლამენტის 1104.12.2.2 ქვეთავით და დაცულია პროექტში.
- <u>საჭმლის მოსამზადებელი ზედაპირი:</u> რეგლამენტის 1104.12.2.3.1 ქვეთავის შესაბამისად ბ ტიპის ერთეულებში საჭმლის მოსამზადებელ ერთეულებთან წინიდან ან პარალელურად მისაწვდომად დატოვებული უნდა იყოს იატაკის თავისუფალი სივრცე.
- პროექტის მიხედვით ბ ტიპის ერთეულებში საჭმლის მოსამზადებელ ზედაპირებთან მისადგომად გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი იატაკის თავისუფალი სივრცეები, რომელიც მის ცენტრში მდებარეობს და შეესაბამება რეგლამენტის 1104.12.2.3.3.3 ქვეთავს.
- <u>ღუმელი:</u> პროექტში ღუმელის მოწყობა არაა გათვალისწინებული.
- <u>მაცივარი/საყინულე:</u> რეგლამენტის 1104.12.2.5.1 ქვეთავის შესაბამისად მაცივარ/საყინულესთან უნდა არსებობდეს იატაკის თავისუფალი სივრცე წინიდან ან პარალელურად მისაწვდომად.
- პროექტით ბ ტიპის სხვადასხვა ერთეულში, მაცივარ/საყინულეებთან გათვალისწინებულია როგორც წინიდან ასევე პარალელურად მისაწვდომი იატაკის თავისუფალი სივრცეები. წინიდან

მისაწვდომობისას იატაკის თავისუფალი სივრცის შუახაზი დაბალანსებული უნდა იყოს მოწყობილობების შუახაზიდან არაუმეტეს 380მმ.-ისა, ხოლო პარალელური მისაწვდომობისას 600მმ.-ისა. აღნიშნული შეესაბამება რეგლამენტის 1104.12.2.5.2 და 1104.12.2.5.3 ქვეთავებს.

- <u>ნაგვის ურნა/სატკეპნი:</u> ნაგვის ურნის განთავსება გათვალისწინებულია სამზარეულოს ნიჟარასთან ან მის ქვეშ და მასთან მისადგომად დატოვებულია პარალელური მისაწვდომი იატაკის თავისუფალი სივრცე, შესაბამისად რეგლამენტის 1104.12.2.6 ქვეთავისა.

კორექტირების შინაარსი:

1. ***იცვლება მოაჯირების ვიზუალური ფორმა, ამოშენებულის და მინის კომბინაციის ნაცვლად გათვალისწინებულია მთლიანად შემინული მოაჯირების მოწყობა.***
2. ***+0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია ხანძრის მართვის ცენტრის ოთახის კონფიგურაციის ცვლილება.***
3. ***გათვალისწინებულია წყალარინების სისტემის მოწყობა.***
4. ***შიდა ავტოსადგომზე გათვალისწინებულია ავტოსადგომების რაოდენობის გაზრდა. ხოლო გარე ავტოსადგომების ნაწილობრივ ადგილმდებარეობის ცვლილება.***
5. ***შეიცვლება ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების პროექტები.***
6. ***ეზოში გათვალისწინებულია ტრანსპორმატორისა და გენერატორის მონწობა.***
7. ***იცვლება კომპანიის საკუთრებაში არსებული რამდენიმე ბინის შიდაგეგმარება და ფართობი. (გეგმაზე მონიშნულია)***

დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ თბილისში დიდ დიღომში III მიკრო რაიონში N29 კორპუსის მიმდებრედ 01.10.08.006.217 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან. ასევე ესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის N732 (04.12.2020) დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ პირობებთან. აქედან გამომდინარე:

პროექტის კორექტირებულ ვარიანტს ეძლევა დადებითი შეფასება.

საექსპერტო შეფასების ავტორი
არქიტექტორი: გიორგი ზირაქაშვილი
დასკვნის მომზადების თარიღი: 11.05.2025

გიორგი ზირაქაშვილი

Gio.zirakashvili@gmail.com

+995555495347

ქ.თბილისი დიდი დიღომი პეტრიწის 5 ბინა 10

ჩემს შესახებ

დაბადების თარიღი 25/02/1995 ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი

სამუშაო გამოცდილება

04/2015 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტი
06/2015 თანამდებობა: სტაჟიორი არქიტექტორის პოზიციაზე

06/2015 შ.პ.ს. "გოდაკო2"
03/2017 თანამდებობა: არქიტექტორი

03/2017 შ.პ.ს. "არქიტექტურული ორკესტრი"
07/2017 თანამდებობა: არქიტექტორი

07/2017 აიპ "ინჟინრული აზრი"
06/2018 თანამდებობა: არქიტექტორი

06/2018
08/2020 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია
თანამდებობა: სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილება (არქიტექტორი)

08/2020
01/2022 ეკონომიკის სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
თანამდებობა: არქიტექტორი

განათლება

2013 წმ. დიმიტრი ყიფიანის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი — საშუალო განათლების ატესტატი

2013 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2017 არქიტექტურის შრბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (ბაკალავრი) — ბაკალავრის დიპლომი

2017 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დღემდე. არქიტექტურის შრბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (მაგისტრანტი)

ენები

ქართული, მშობლიური

ინგლისური, კარგად

რუსული, საშუალოდ



ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

დამკვეთი: სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დამამგადებელი: შპს „კაბადონი +“
სშს-ს რეგისტრაციის № 58 - 4519

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ბაკალავრის დიპლომი
Bachelor's Diploma

BD № 006706

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 2017 წლის 27 ივლისის № 14 გადაწყვეტილებით

გიორგი ზირაქაშვილს მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

By the decision № 14 July 27, 2017 of the Faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Mr. Giorgi Zirakashvili was awarded the Degree of Bachelor of

Architecture

სარეგისტრაციო *Registration* № 06609

დეკანი *Dean* — ნინო იმნაძე *Nino Imnadze*

თბილისი *Tbilisi* 14 რიცხვი/*Day* 11 თვე/*Month* 2017 წელი/*Year*

რექტორი *Rector* — არჩილ ფრანგიშვილი *Archil Prangishvili*

ბ.ა. *Seal*

LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY 211349192

მიღენიაღები

MSDA მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

სერტიფიკატი

გ ა ღ ა ე ც ე მ ა

გიორგი ზირაქაშვილს

მასზედ, რომ წარმატებით გაიარა ტრენინგი თემაზე

"სამშენებლო უსაფრთხოება და ადაპტირება"

CERTIFICATE

IS PRESTENED TO

GIORGI ZIRAKHASHVILI

FOR SUCCESSFULLY COMPLETING THE TRAINING IN

"CONSTRUCTION SAFETY AND ADAPTATION"

მიღენიაღები
გიორგი ხაჭაღია
თავმჯღომარე

ა(ი)პი მუნიციპალური სერვისების
განვითარების სააგენტო
ვახტანგ ჭეღიშვილი
თავმჯღომარე

17.07.19 - 30.07.19

This is a certificate awarded to

Giorgi Zirakashvili

on successfully completing

Managing Safely

a course approved and validated by the

Institution of Occupational Safety and Health

in association with

Safco Ltd

Approved Centre: 3914

Signed on behalf of IOSH

Chief Executive

Course Organiser

Date: 17 November 2019

Cert No: *705830*

Possession of this certificate does not confer exemption from accredited qualifications which lead to membership of IOSH.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32

KA020185943726023

№ **03/330**

07 / აპრილი / 2023 წ.

ცნობა

ეძლევა გიორგი ზირაქაშვილს (პ/ნ 01024083267) მასზედ, რომ იგი 2020 წლის 11 აგვისტოდან 2022 წლის 17 იანვრამდე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მუშაობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოში სპეციალისტის პოზიციაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულებისამებრ წარსადგენად.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია

წერილის ნომერი: **04-0123097987**
თარიღი: **07/04/2023**

ადრესატი: გიორგი ზირაქაშვილი
პირადი ნომერი: 01024083267
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, კორპუსი 5, ბინა 10

ც ნ ო ბ ა

ეძლევა **გიორგი ზირაქაშვილს** (პ/ნ01024083267) მასზედ, რომ იგი 2018 წლის 15 ივნისიდან -2018 წლის 1 ოქტომბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილებაში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2018 წლის 1 ოქტომბრიდან - 2020 წლის 11 აგვისტომდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

ვახტანგ გადელია

მერიის ადმინისტრაცია-ადამიანური რესურსების მართვის სამსახური-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-074 405026877

შ.პ.ს. "გოდაკო2"
საიდენტიფიკაციო კოდი; 405095846
იურიდიული მისამართი; საქართველო,
თბილისი, თამაზ ნადარეიშვილის №60
ტელ; 592 90 30 22 ელ.ფოსტა godaco@mail.ru

04.04.2018 წ.

ც ნ ო ბ ა

ცნობა ეძლევა გიორგი ზირაქაშვილს პ.ნ. (01024083267) რომ ნამდვილად მუშაობდა შ.პ.ს. "გოდაკო2" -ში ს/კ 405095846 არქიტექტორის თანამდებობაზე 06.2015-დან 03.2017-მდე.

დირექტორი გიორგი კვიწინაშვილი